ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია

ბრძანება:**ბ42.422205215**

თარიღი:**21/02/2022**

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2022 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 54-ემუხლის პირველი პუნქტის „ე.ე" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2022 წლის სამოქმედო გეგმა დანართის შესაბამისად.

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობის დღიდან, ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა N 3).

ბექა ვაჭარაძე

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია-ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

<table>
<tr><td colspan="4">ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2022 წლის სამოქმედო გეგმა
ადაპტირებული გარემოს შექმნისა და შენობების ადაპტირების მიმართულებით</td></tr>
<tr><td>მიზანი</td><td colspan="3">მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული შენობების ადაპტირება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის.</td></tr>
<tr><td>აქტივობა 1</td><td colspan="3">მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული შენობების იდენტიფიცირება. აღნიშნულ შენობა-ნაგებობებზე შშმ პირებისათვის პანდუსების მოწყობის შესაძლებლობების განსაზღვრა (ადგილმდებარეობისა და ნიშნულებიდან გამომდინარე).</td></tr>
<tr><td></td><td>ზემოაღნიშნულ ლოკაციებზე (იხ. დანართი №1) შშმ პირების საჭიროებისათვის პანდუსების მოსაწყობად საპროექტო დავალების შედგენა.</td><td colspan="2">2022 წლის პირველი კვარტალი</td></tr>
<tr><td>აქტივობა 2</td><td colspan="3">საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა ექსპერტიზით და აღნიშნული სამუშაოების განსახორციელებლად შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.</td></tr>
<tr><td rowspan="2"></td><td rowspan="2">აქტივობის შედეგი: შედგენილი საპროექტო დავალების საფუძველზე აღნიშნულ სამუშაოებზე სატენდერო
დოკუმენტაციის მომზადება, შესაბამისი პროექტების შეძენა ექსპერტიზით და სამუშაოების განსახორციელებლად შესაბამისი პროცედურების განხორციელება მომწოდებელი ორგანიზაციის გამოსავლენად და მასთან შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმება.</td><td>შესრულების ვადა</td><td>დაფინანსების წყარო</td></tr>
<tr><td>2022 წლის მე-2 კვარტალი</td><td>მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი</td></tr>
<tr><td>აქტივობა 3</td><td colspan="3">შეძენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიხედვით შესყიდვების განხორციელება და შენობის ადაპტირება შშმ პირთათვის</td></tr>
<tr><td rowspan="2"></td><td rowspan="2">აქტივობის შედეგი: 2022 წლის ბოლოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ზემოაღნიშნულ ლოკაციებზე არსებულ შენობა-ნაგებობებზე შშმ პირებისათვის პანდუსების მოწყობის სამუშაოების დასრულება.</td><td>შესრულების ვადა</td><td>დაფინანსების წყარო</td></tr>
<tr><td>2022 წლის მე-3 და მე-4 კვარტალში</td><td>მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი</td></tr>
</table>

დანართი №1. ქალაქ ფოთში, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება (შენობა-ნაგებობები), სადაც საჭიროა პანდუსის მოწყობა				
№	უძრავი ქონების დასახელება	უძრავი ქონების ადგილმდებარეობა	საკადასტრო კოდი	უბანი
1	არჩილ ხორავას მუსიკალური სკოლის შენობა-ნაგებობა	გიორგი ათონელის ქ. №6	04.02.07.027	ცენტრი
2	ხელოვნების სასწავლებლის შენობა-ნაგებობა	კონსტანტინე გამსახურდიას ქ. №4	04.02.07.082	ცენტრი
3	ბიბლიოთეკა	შოთა რუსთაველის რკალი №1	04.02.08.095	ცენტრი
4	ადმინისტრაციული შენობა	26 მაისის ქ. №7 (I სართული)	04.02.08.241.01.507	ცენტრი
5	არასაცხოვრებელი ფართი (საჭადრაკო კლუბი)	ჭანტურიას.ქ №2	04.02.08.085	ცენტრი
6	არასაცხოვრებელი ფართი (სამხატვრო-საგამოფენო) დარბაზი	კოსტავას ქ. №6	04.02.08.127.01.500	ცენტრი
7	ბიბლიოთეკა	წმ. ნინოს ქ. №6	04.02.08.236	ცენტრი
8	ადმინისტრაციული შენობანაგებობა	ფოთი, გურიის ქ. №59	04.02.05.102	მალთაყვა
9	ავტომოსაცდელი	გურიის ქუჩა	04.02.12.623	მალთაყვა

<table>
<tr><td colspan="5">ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2022 წლის სამოქმედო გეგმა ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მიმართულებით</td></tr>
<tr><td>მიზანი 1.</td><td colspan="4">შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის უფლებების გარანტიები ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.</td></tr>
<tr><td>ამოცანა 1.1.</td><td colspan="4">სოციალური დაცვის მუნიციპალური პროგრამებით სარგებლობის უზრუნველყოფა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.</td></tr>
<tr><td></td><td>ამოცანის საბაზისო მაჩვენებელი:
მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური პროგრამები, რომელიც ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მხარდაჭერას ადგილობრივ დონეზე.</td><td colspan="3">ამოცანის საბოლოო მაჩვენებელი:
შშმ პირების სოციალური დაცვის გარანტიების გაძლიერების განხორციელება. 225 შშმ პირი ისარგებლებს პროგრამებით გათვალისწინებული დახმარებით</td></tr>
<tr><td>აქტივობა 1.1.1.</td><td colspan="4">შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარების სხვადასხვა პროგრამა</td></tr>
<tr><td rowspan="3"></td><td rowspan="3">აქტივობის შედეგის ინდიკატორი:
პროგრამით მოსარგებლეა 225 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი :

ა) უსინათლოებისა და ყრუ-მუნჯთა მატერიალური დახმარება კომუნალური გადასახადების დასაფინანსებლად (99 შშმ პირი).
გ) უსინათლოებისათვის წნევის გამზომი ხმოვანი აპარატების შეძენა (12 შშმ პირი).
დ) სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებული დახმარება (114 შშმ ბავშვი)</td><td>შესრულების ვადა</td><td colspan="2">დაფინანსების წყარო</td></tr>
<tr><td>2022 წლის 01 იანვრიდან - 31დეკემბრამდე</td><td>მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი</td><td>სხვა</td></tr>
<tr><td></td><td>62 000 ლარი</td><td></td></tr>
</table>

<table>
<tr><td>აქტივობა 1.1.2</td><td colspan="4">შინმოვლის მომსახურების მიწოდება შშმ პირთათვის</td></tr>
<tr><td rowspan="3"></td><td rowspan="3">აქტივობის შედეგის ინდიკატორი: მულტიდისციპლინარული მობილური ჯგუფის მიერ მარტოხელა და მარტოდმცხოვრები მოვლის საჭიროების მქონე პირთათვის (მათ შორის 3 შშმ პირი) თბილი, უსაფრთხო და ღირსეული პირობების შექმნა.</td><td>შესრულების ვადა</td><td colspan="2">დაფინანსების წყარო</td></tr>
<tr><td rowspan="2">2022 წლის 01 იანვრიდან - 31 დეკემბრამდე</td><td>მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი</td><td>სხვა</td></tr>
<tr><td>16500 ლარი</td><td>ა(ა)იპ სოციალური მომსახურების ცენტრი</td></tr>
<tr><td>აქტივობა 1.1.3</td><td colspan="4">შშმ პირთა დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფა</td></tr>
<tr><td rowspan="3"></td><td rowspan="3">აქტივობის შედეგის ინდიკატორი: 30 შშმ პირის უზრუნველყოფა დამხმარე საშუალებებით, გადასაადგილებელი ეტლებით</td><td>შესრულების ვადა</td><td colspan="2">დაფინანსების წყარო</td></tr>
<tr><td rowspan="2">2022 წლის 01 იანვრიდან - 31 დეკემბრამდე</td><td>მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი</td><td>სხვა</td></tr>
<tr><td>0</td><td>დონორი</td></tr>
<tr><td></td><td colspan="4">პარტნიორი უწყება: ასოციაცია ,, საქართველოს ქალები სიცოცხლისა და მშვიდობისათვის''</td></tr>
<tr><td>აქტივობა 1.1.4</td><td colspan="4">ა(ა) იპ ,,კოალიცია სოციალური რეფორმებისათვის'' თანადაფინანსება</td></tr>
<tr><td rowspan="3"></td><td rowspan="3">აქტივობის შედეგის ინდიკატორი: 20 - არასრულწლოვანი შშმ პირის უზრუნველყოფა დღის ცენტრის მომსახურებით(კომუნალური გადასახადების დაფინანსება).</td><td>შესრულების ვადა</td><td colspan="2">დაფინანსების წყარო</td></tr>
<tr><td rowspan="2">2022 წლის 01 იანვრიდან - 31 დეკემბრამდე</td><td>მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი</td><td>სხვა</td></tr>
<tr><td>6500 ლარი</td><td>დონორი</td></tr>
<tr><td></td><td colspan="4">პარტნიორი უწყება: ა(ა) იპ ,,კოალიცია სოციალური რეფორმებისათვის'' თანადაფინანსება</td></tr>
</table>

<table>
<tr><td>ამოცანა 1.2.</td><td colspan="4">ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური პროგრამებით სარგებლობის უზრუნველყოფა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით</td></tr>
<tr><td></td><td>ამოცანის საბაზისო მაჩვენებელი:
მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები, რომელიც ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მხარდაჭერას ადგილობრივ დონეზე.</td><td colspan="3">ამოცანის საბოლოო მაჩვენებელი:
შშმ პირების ჯანმრთელობის დაცვის გარანტიების გაძლიერების განხორციელება. 87 შშმ პირი ისარგებლებს პროგრამებით გათვალისწინებული დახმარებით.</td></tr>
<tr><td>აქტივობა 1.2.1.</td><td colspan="4">ჯანმრთელობა გაუარესებულ მოქალაქეთა სტაციონარული, ამბულატორიული და მედიკამენტოზური მკურნალობის დაფინანსების პროგრამა</td></tr>
<tr><td rowspan="3"></td><td rowspan="3">აქტივობის შედეგის ინდიკატორი:
87 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისათვის შესაძლებელი იქნება ჯამრთელობის პროგრამის გაუმჯობესება სამედიცინო მომსახურეობაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით, კერძოდ: საჭიროების გათვალისწინებით სამკურნალოსარეაბილიტაციო მომსახურეობის დაფინანსება, ასევე ადრეული ჩარევის სპეციალისტების, ფსიქოლოგის, ოკუპაციური თერაპევტის, ლოგოპედის და სხვა სპეციალისტების მომსახურეობა.
ა) ცერებრალური დამბლითა და აუტიზმით დაავადებულ პირებზე (77 ბენეფიციარი),
ბ) ფენილკეტონურიით და ცელიაკიით დაავადებულთა (21 წლამდე ასაკის) კვებითი დანამატებით უზრუნველყოფა (5 ბენეფიციარი),
გ) კოხლეარული იმპლანტით მოსარგებლე ბენეფიციართა დახმარება (5 ბენეფიციარი)</td><td>შესრულების ვადა</td><td colspan="2">დაფინანსების წყარო</td></tr>
<tr><td>2022 წლის 01 იანვრიდან - 31დეკემბრამდე</td><td>მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი</td><td>სხვა</td></tr>
<tr><td></td><td>110 000 ლარი</td><td></td></tr>
</table>